

Boris Jimshirauli

Boris Jimshirauli

ბორის ჯიმშირაული

ISBN 9789941080555



9 789941 080555

ბორის ჯიმშირაული
Boris Jimshirauli



ბორის ჯიმშირაული

შემდგენელი ციური ჩაჩუა
ტექსტი ნინო ზაალიშვილი
თარგმანი ნინო კაკიაშვილი
დიზაინი თამაზ ვარვარიძე
ფოტო ნიკოლოზ ღამბაშიძე

Boris Jimshirauli

Created by **Ciuri Chachua**

Text **Nino Zaalishvili**

Translation **Nino Kakiashvili**

Design **Tamaz Varvaridze**

Photographer **Nikoloz Gambashidze**

Tbilisi 2015

Introduction

Georgian art is rich with artists, who have made a special contribution to the development of our culture. Their creations have marveled, still marvel and will continue to marvel many more generations. There are artists known to everyone, respected for their work and besides them, there are the ones whose work is significant for art, however, for some reason, they stay, so to speak, behind the scenes, I am sure, their names will also resound and remain in history.

So, I want to talk about such artist, who is distinguished with versatility and great talent but unfortunately not many have heard about him and this is only due to the fact that Boris Jimshirauli was an exceptionally humble person.

My inexperience and lack of professionalism might not allow me to provide proper information about the artist, however, I will try to raise the interest in readers and introduce to them this great artist.

I think it is our responsibility, as of students, to learn about the artists, who really deserve a professional approach in terms of their creativity and becoming known to the public.

Biography

Boris Jimshirauli was born to the family of artists in Tbilisi on August 22, 1929. His grandfather - Boris Smirnov was one of the best Russian artists. Boris junior's mother was also a self-taught artist, and perhaps it is not surprising that being raised in such environment, he pursued art since childhood and quite successfully.



ბორის ჯიმშირაული თავის სახელოსნოში, მეუღლესთან ნათელა კიკვაძესთან ერთად. სტამბოლი, 1999 წ.

Boris Jimshirauli with his wife Natela Kikvadze at his workshop. Istanbul, 1999.

შესავალი

ქართული ხელოვნება მდიდარია ისეთი ხელოვანებით, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ჩვენი კულტურის განვითარებაში. მათი შემოქმედება აოცებდა, დღემდე აოცებს და დარწმუნებული ვარ, გააოცებს მრავალ თაობას. მათ რიცხვში შედიან ისეთი ადამიანები, რომელთა სახელი იცის ყველამ და გარკვეული მოწინება უჩნდება მათ მიმართ, რა თქმა უნდა, ამ უკანასკნელთა ნამოღვაწარის გამო. ასეთი ადამიანების გვერდით კი არსებობენ ისეთები, რომელთა საქმიანობაც ძალიან მნიშვნელოვანია ხელოვნებისათვის, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო, ისინი, ასე რომ ვთქვათ, კადრს მიღმა რჩებიან, თუმცა, დარწმუნებული ვარ, მათი სახელები აუცილებლად გაიჟღერებს და დარჩება ისტორიაში.

მინდა, სწორედ ისეთ ხელოვანზე ვისაუბრო, რომელიც გამოირჩევა მრავალმხრივობითა და უდიდესი ნიჭიერებით, მაგრამ სამწუხაროდ, მის შესახებ ბევრმა არ იცის და აღვნიშნავ, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ ბორის ჯიმშირაული განსაკუთრებულად თავმდაბალი ადამიანი იყო.

ჩემი გამოუცდელიობითა და არაპროფესიონალიზმით, შესაძლოა, ვერ მოგანოდოთ სათანადო ინფორმაცია მხატვრის შესახებ, მაგრამ შევეცდები, ინტერესი გამოვიწვიო მკითხველში და მას კიდევ ერთი, დიდი მხატვარი გავაცნო.

ვფიქრობ, ჩვენი, სტუდენტების ვალია, რომ გავეცნოთ ისეთ ხელოვანებს, რომლებიც ნამდვილად ღირსეულნი არიან, პროფესიონალური თვალსაზრისით მივუდგეთ მათ შემოქმედებას და გავაცნოთ ისინი საზოგადოებას.



ბორის ჯიმშირაული თავის სახელოსნოს აივანზე სტამბოლში. 2000 წ.

Boris Jimshirauli on the balcony of his workshop in Istanbul. 2000.



ბორისი და ვერა ჯიმშირაულები, ომიდან ახლად დაბრუნებულ მამასთან ერთად. 1945 წ.

Boris and Vera Jimshiraulis with father, newly returned from the war. 1945.



ბორის ჯიმშირაულის სტუდენტობის პერიოდი 1954 წ.

Boris Jimshirauli's student period 1954

He began arts education at the N. Nikoladze School of Arts, which he graduated with honors enrolling at the Tbilisi State Academy of Arts in 1951. His teachers were such prominent artists like U. Japaridze, S. Qobuladze, A. Kutateladze and others.

While still at school, Boris revealed his amazing, individual style, his particular approach and in-depth perception of objects and events. He loved people, nature, life generally and this love was reflected in his work in a pretty impressive manner.

In 1957 he graduated from the Academy of Arts and, the same year, began working as a cartoon artist at the film studio. He is the artist of of beloved cartoon films: "Tsuna and Tsrutsuna", "Mtroba", "Jays' Wedding" etc. His work at the studio lasted til 1963. Periodically worked as an art teacher at the N. Nikoladze School of Arts and the Faculty of Architecture of the Tbilisi State Academy of Arts. In 1970-1981, Boris worked at the Art Foundation in Kutaisi, basically implementing the the state commissions.

A great part of Jimshirauli's art is icon painting. Despite an active work in various genres, it was always present in his work, dictated with his exceptional spirituality and great love of God.

During 1996-2002, the artist worked in Turkey. This period was very significant and interesting for his work, about which I will speak later.

On august 25, 2001, soon after arrival from Turkey, Boris passed away unexpectedly. He left a lot of unfinished works, which, despite being incomplete, demonstrate that they come from a great and talented artist, who left a true treasure for Georgian art with his diligence and professionalism.

ბ ი ო გ რ ა ფ ი ა

ბორის ჯიმშირაული დაიბადა 1929 წლის 22 აგვისტოს, თბილისში. მხატვრის ოჯახში. მისი ბაბუა – ბორის სმირონოვი ერთ-ერთი საუკეთესო რუსი მხატვარი იყო. უმცროსი ბორისის დედაც თვითნასწავლი მხატვარი გახლდათ და ალბათ, გასაკვირი არ არის, რომ ასეთ გარემოში აღზრდილი, ის, ბავშვობიდან დაადგა ხელოვანის გზას და უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ წარმატებულადაც.

სამხატვრო განათლების მიღება მან ი. ნიკოლაძის სახელობის ტექნიკუმში დაიწყო, რომელიც წარჩინებით დაამთავრა და შემდგომ, 1951 წელს თბილისის სამხატვრო აკადემიაში ჩაირიცხა. მისი პედაგოგები იყვნენ ისეთი გამოჩენილი მხატვრები, როგორებიცაა უ. ჯაფარიძე, ს. ქობულაძე, ა. ქუთათელაძე და სხვები.

ბორისმა, ჯერ კიდევ, ტექნიკუმში სწავლის დროს გამოავლინა თავისი საოცარი, ინდივიდუალური ხელწერა, საგნებისა და მოვლენებისადმი განსაკუთრებული მიდგომა, სიღრმისეული წვდომა და აღქმა. მას უყვარდა ადამიანები, ბუნება, საერთოდ, სიცოცხლე და ეს სიყვარული საკმაოდ შთამბეჭდავად აისახა მის შემოქმედებაზე.

1957 წელს დაამთავრა სამხატვრო აკადემია და იმავე წელს დაიწყო მუშაობა კინოსტუდიაში, მულტიპლიკაციის მხატვრად. ის მხატვარია ყველასათვის საყვარელი მულტიპლიკაციური ფილმებისა: "წუნა და წრუნა," "მტრობა," "ჩხიკვთა ქორწილი" და სხვ. მისი მოღვაწეობა კინოსტუდიაში 1963 წლამდე გაგრძელდა. პერიოდულად მუშაობდა სამხატვრო ფონდში. ასევე, ფერწერის პედაგოგად – ნ. ნიკოლაძის სახელობის ტექნიკუმსა და სამხატვრო აკადემიაში. ამ უკანასკნელში – არქიტექტურის ფაკულტეტზე. 1970-1981 წ.წ. ბორისი მუშაობას განაგრძობს ქუთაისში, სამხატვრო ფონდში. ძირითადად, სახელმწიფო შეკვეთებზე.

ჯიმშირაულის მხატვრობაში დიდი და გამორჩეული ადგილი უჭირავს ხატწერას. სხვადასხვა ჟანრში აქტიური მუშაობის მიუხედავად, ის მუდმივ ხაზად გასდევდა მის შემოქმედებას, რაც მხატვრის განსაკუთრებული სულიერებითა და ღმერთისადმი დიდი სიყვარულით იყო განპირობებული.



ბორის ჯიმშირაული ნანა და ნელი კანდელაკი, სტუდენტობის პერიოდი. 1952 წ.

Boris Jimshirauli, Nana and Neli Kandelakis, student period. 1952.



ბორის ჯიმშირაული და ანრი სამაშვილი სამხატვრო აკადემიის კურსელებთან ერთად 1952 წ.

Boris Jimshirauli and Henry Samashvili with fellow students of the Academy, 1952.

Work

I have mentioned in biography that Boris Jimshirauli actively worked in various genres. His brush created a lot of portraits, still lifes, landscapes, icons... It was the greatest path towards looking for something new and enhancing the acquired, forming him into a distinctive artist. We can speak about Boris separately as about the portraitist, the icon painter, the landscape artist. He was a versatile artist, a person with a true artistic spirit. Boris' brush could paint as with a photographic precision, as well as with broad, bold strokes... He always looked deep into a human soul and carried it all on the canvas with an astonishing mastery.

I would like to start this little review about the artist's work with portraits. As I mentioned, he had a great ability to discover a person's spiritual world. His portraits stand out with their amazing genuineness and ease... It is impossible to look at the portraits of Boris' grandchildren - Thea and Nick and not to be touched by the purity and sincerity typical for a child. They smile with the eyes full of warmth and energy and I think this is the main achievement of the artist. The smile, which is an undoubted proof that the child is the purest and the most delicate creature on earth. Both portraits are realistic not only in artistic terms, but also in the sense that they exude the emotion of truth, completeness and sincerity in excess.

Boris Jimshirauli is the author of the portraits of numerous historical and public figures, which were mainly commissioned. This subject is so vast that requires a separate chapter, however I would like to talk about the portraits that impressed me the most.

Boris made numerous portraits of his family members, his spouse and children, and I want to share with you my views on one of them.

While going through the artist's works one can surely notice a portrait of a little girl - looking



ჯამის ინტერიერი, ტილო, ზეთი. 90/70 სმ. 1998

Interior Of Camii, oil on canvas. 90/70 cm. 1998

1996-2002 წ. მხატვარი თურქეთში მოღვაწეობს და ეს პერიოდი განსაკუთრებულად აღსანიშნავი და საინტერესოა მის შემოქმედებაში. თუმცა ამაზე შემდგომ, უფრო ვრცლად ვისაუბრებ.

თურქეთიდან ჩამოსვლის შემდეგ ის მალე, 2003 წლის 25 აგვისტოს, მოულოდნელად გარდაიცვალა. დარჩა ბევრი დაუსრულებელი ტილო, რომელიც, მიუხედავად დაუსრულებლობისა, მეტყველებს იმაზე, რომ საქმე გვაქვს უდიდეს და უნიჭიერეს მხატვართან, რომელმაც თავისი შრომისმოყვარეობითა და პროფესიონალიზმით ნამდვილი განძი დაუტოვა ქართულ ხელოვნებას.

შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ა

ბიოგრაფიაში აღვნიშნე, რომ ბორის ჯიმშირაული სხვადასხვა ჟანრში აქტიურად მუშაობდა. მისმა ფუნჯმა შექმნა უამრავი პორტრეტი, ნატურმორტი, პეიზაჟი, ხატი... ეს იყო ახლის ძიებისა და მიგნებულის გაღრმავების უდიდესი გზა, რომელმაც ის გამორჩეულ მხატვრად ჩამოაყალიბა. ბორისზე, ცალკე შეიძლება საუბარი, როგორც პორტრეტისტზე, როგორც ხატმწერზე, როგორც პეიზაჟისტზე. ის იყო მრავალმხრივ განვითარებული მხატვარი, პიროვნება ნამდვილი ხელოვანის სულით. ბორისის ფუნჯს შეეძლო ეხატა როგორც ფოტოგრაფიული სიზუსტით, ასევე, ფართო, თამამი მონასმებით... ის ყოველთვის ღრმად იხედებოდა ადამიანის სულში და გასაოცარი ოსტატობით გადაჰქონდა ყოველივე ეს ტილოზე.

მინდა, მხატვრის შემოქმედების მცირე მიმოხილვა პორტრეტებით დავიწყო. რადგან, როგორც აღვნიშნე, მას კარგად შეეძლო დაენახა ადამიანის სულიერი სამყარო. მისი პორტრეტები გამოირჩევა საოცარი უშუალობითა და სილალით... შეუძლებელია, შეხედო ბორისის შვილიშვილების, თეასა და ნიკას პორტრეტებს და არ გადმოგედოს სისუფთავისა და გულწრფელობის ის შეგრძნება, რომელიც ბავშვს ახასიათებს. ისინი სითბოთი და ენერგიით სავსე თვალებით შემოგვცინიან და ვფიქრობ, მხატვრის მთავარი მიგნებაც ესაა. ღიმილი, რომელიც უდავოდ სარწმუნო საბუთია იმისა, რომ ბავშვი ყველაზე სუფთა და სათუთი არსებაა დედამიწის ზურგზე. ორივე



რამაზანის ღამე, ტილო, ზეთი. 80/60 სმ. 1998

Ramazan Night, oil on canvas. 80/60 cm. 1998



ბორის ჯიმშირაული, ოთარ ქანთარია, რობერტ მნაცაკანიანი და შოთა მინდელი ქუთაისის სამხატვრო ფონდში. 1975 წ.

Boris Jimshirauli, Otar Qantaria, Robert Mnatsakaniani and Shota Mindeli, Kutaisi Arts Foundation. 1975.

from her shoulder, holding a white cat and smiling with the same ease and pureness, as described earlier. Her gaze is lively and emotional and it creates the character that can raise profound warmth in a spectator. And the white cat with fluffy fur and a cunning look, coming forth with an ordinary dare. It looks like an adornment of a kind in child arms and like that necessary element granting the work its completeness. A portrait is titled "Tsiuri" - in honor of the artist's daughter.

Boris was an amazingly hard-working artist and felt a great responsibility towards his work. Perhaps, that is why each of his work is so rich and even those that remained unfinished create the feeling of completeness in a viewer.

I have already said that Boris created portraits of many historical and public figures. They include: Vakhtang Gorgasali, David the Builder, Queen Tamar, Shota Rustaveli, Ilia chavachavadze, Akaki Tsereteli, Galaktion Tabidze, Nikoloz Baratashvili, and many others.

While depicting each, he clearly caught and conveyed their characters. As if all of these faces tell their history and grandeur... I would especially single out the portrait of Queen Tamar. This is the face of the king in the first place, and then of a real Georgian woman. Behind the precious garments and ornaments stands a person filled with humility and virtue, in the eyes of which, in my opinion, one cannot find that roughness typical to the authority.

After leaving for Turkey, a new phase began for the artist's life. There he mostly worked on commissions. He Created Oriental style paintings. With his usual mastery he depicted the character, culture and history of Turkish people. He created beautiful landscapes, markets, castles, churches... I would like to point out that while portraying the life and nature of Turkey, the artist molded the typical colorfulness of this country with an exquisite taste. Such sophisticated painting was present while creating Georgian landscapes as well, however, still, the above-mentioned works were completely different

პორტრეტი რეალისტურია არა მარტო მხატვრული, არამედ იმ თვალსაზრისითაც, რომ მათგან სინამდვილის, დასრულებულობისა და გულწრფელობის ემოცია მოდის ჭარბად.

ბორის ჯიმშირაული ავტორია უამრავი ისტორიული პირისა თუ საზოგადო მოღვაწის პორტრეტისა, რომლებიც, ძირითადად, დაკვეთით სრულდებოდა და ეს თემა იმდენად ვრცელია, შეიძლება, ცალკე ქვეთავიც კი მიეძღვნას, თუმცა მანამდე იმ პორტრეტებზე მინდა ვისაუბრო, რომლებმაც განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემზე.

ბორისის შემოქმედებაში ხშირად შეხვდებით მისი ოჯახის წევრების, მეუღლისა და შვილების პორტრეტებს და მინდა, ერთ-ერთ მათგანზე ჩემი შეხედულებები გაგიზიაროთ.

მხატვრის ნამუშევრების დათვალეებისას აუცილებლად მოგხვდებათ თვალში პატარა გოგონას პორტრეტი – ტანით მიბრუნებული, სახით – მაყურებლისაკენ – რომელსაც ხელში თეთრი კატა უჭირავს. გოგონა ილიმის. სწორედ იმ სილალითა და სისუფთავით, რაზეც ზემოთ მქონდა საუბარი. ცოცხალი და ემოციურია მისი გამოხედვა და ეს გამოხედვა ქმნის იმ ხასიათს, რაც მნახველში უდიდეს სითბოს აღძრავს. განსაკუთრებულად აღსანიშნავია თეთრი კატა, ფაფუკი ბენვითა და ეშმაკური მზერით, რომელიც ჩვეული სითამამით იჭრება წინა პლანზე. ის, მონებივრე ბავშვის მკლავებში, ვფიქრობ, ერთგვარი სამკაული და ის აუცილებელი, ასე რომ ვთქვათ, ელემენტია, რომელიც დასრულებულობას ანიჭებს ნამუშევარს. პორტრეტის სახელწოდებაა "ციური." ის მხატვრის ქალიშვილია.

მინდა ვთქვა, რომ მხატვარი საოცრად შრომისმოყვარე იყო და უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა თავის საქმეს. ალბათ, ამის დამსახურებაა, რომ მისი თითოეული ნამუშევარი ძალიან მსუყეა და ისინიც კი, რომლებიც დამუშავების პროცესში დარჩა, უდავოდ დასრულებულობის შეგრძნებას ტოვებს მნახველში.

უკვე აღვნიშნე, რომ ბორისმა უამრავი ისტორიული პირისა და საზოგადო მოღვაწის პორტრეტი შექმნა.



თეა გონგაძე, პაპის, ბორის ჯიმშირაულის გამოფენაზე სტამბოლში. 1999 წ.

Thea Gongadze at the exhibition of her grandfather Boris Jimshirauli in Istanbul. 1999.



სტამბოლში, ბორის ჯიმშირაულის პერსონალურ გამოფენაზე, საბერძნეთის ელჩი და პატრიარქი ბართოლომეოს 1-ლი. 1990 წ.

Istanbul, Boris Jimshirauli's personal exhibition, Greek Ambassador and Patriarch Bartholomew the First. 1990.

and maybe it was due not only the geographical factor but also to the cultural atmosphere.

While in Turkey, he painted one of the best portraits of the Ecumenical Patriarch, Bartholomew I. It was performed so realistically that one might not distinguish it from a photograph. The artist created a psychological face of a person, all features of which exude profound spirituality. The Patriarch's garments and priestly attributes are processed in amazing details. I would particularly highlight the mitre. Its details are performed in such high quality it occurs almost tangible for the viewer.

The Desire and commitment to serve God did not come suddenly for Jimshirauli. He was marked by deep spirituality and virtues since the very beginning. He is the author of numerous icons, from which I cannot distinguish one, as all of them are precious. However, it should be noted that he created the whole



მსოფლიო მართლმადიდებელთა პატრიარქი ბართოლომეოს 1-ლი, სტამბოლში, ბორის ჯიმშირაულის პერსონალურ გამოფენაზე, ბორისის მიერ შესრულებულ თავის პორტრეტთან დგას და ბორისს საჩუქრად გადასცემს ხატს. 1999 წ.

The Ecumenical Patriarch Bartholomew the First in Istanbul at the personal exhibition of Boris Jimshirauli, standing at his portrait and presenting the icon to Boris. 1999.

მათ რიცხვს განეკუთვნება: ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, შოთა რუსთაველი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გალაკტიონ ტაბიძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი და მრავალი სხვა.

თითოეული მათგანის გამოსახვისას ზუსტადაა მიგნებული და გადმოცემული მათი ხასიათი. თითქოს, ყველას სახეზე ანერია თავისი ისტორია და სიღიადე... ამ ტიპის ნამუშევართაგან განსაკუთრებულად გამოვყოფდი თამარ მეფის პორტრეტს. ეს არის სახე, პირველ რიგში, მეფისა და შემდეგ, ნამდვილი ქართველი ქალისა. უძვირფასესი სამოსისა და მორთულობის უკან დგას უბრალოებითა და სათნოებით აღსავსე ადამიანი, რომლის თვალეშიც, ჩემი დაკვირვებით, სრულებით არ იგრძნობა ის სიმკაცრე, რომელიც დამახასიათებელია ხელისუფალისთვის.

series of icons of Christ. One of them - "The Last Supper" - unfortunately, was left unfinished. The images of Christ are performed with extensive tenderness. The artist perfectly expressed the Savior's humble, calm nature. While looking at these depictions, the viewer will most likely feel the sensation of balance and love.

As calm are the above-described faces, as emotional is Christ's image with the crown of thorns. In this case, the suffering and tolerance is so intense that it leaves the greatest impression on the viewer, reaching the depths of one's soul. It is enhanced with the tears on the Savior's eyes and cheeks and blood on his forehead, golden light and tremendous gradients.

Some of the most precious pieces from Jimshirauli's icon painting are: "St. Nicholas," "St. Nino," "Mary with a Child" etc.

Excellent are Boris' still lifes. For this genre, I would emphasize the colorfulness and credibility of these works. We are dealing not with the photographic accuracy here. The strokes are basically broad and brave but so skillful as if one can feel the taste of fresh fruits and scent of Lilacs. Impressive are the scattered bead of pomegranate seeds, grape transparency, airy Magnolias... In this case, I would compare the artists realistic approach to Johannes Vermeer's art... They are completely different and individual, but both of them have a superb perception of the environment and most importantly, an amazing mastery to deliver it on canvas. Their works are full of air, have strong texture and character, but, again, I stress out that I am talking about two artists developed with totally different lines and interests.

One can endlessly speak about or dedicate books, papers to Boris Jimshirauli's art and the only reason it has not happened yet is this man's humility.



მსოფლიო მართლმადიდებელთა პატრიარქი ბათოლომეოს I-ლი, ტილო, ზეთი. 90/70 სმ. 1998

The Ecumenical Patriarch Bartholomew I, oil on canvas, 90/70 sm. 1998

თურქეთში გამგზავრების შემდეგ მხატვრის შემოქმედებაში ახალი ეტაპი იწყება. იქ ის, უმეტესწილად, შეკვეთებზე მუშაობს. ქმნის ორიენტალისტური სტილის ნამუშევრებს. ხელოვანი ჩვეული ოსტატობით გადმოგვცემს თურქული საზოგადოების ხასიათს, კულტურასა და ისტორიას. იქმნება ულამაზესი პეიზაჟები, ბაზრები, კოშკები, ტაძრები... მინდა აღვნიშნო, რომ თურქეთის ცხოვრებისა და ბუნების გამოსახვისას მხატვარი გასაოცარი გემოვნებით ძერწავს იმ სიჭრელეს, რომელიც ამ ქვეყნისთვის არის დამახასიათებელი. ამ შემთხვევაში აღვნიშნავ, რომ ქართულ პეიზაჟებშიც თვალშისაცემია ძალიან დახვეწილი ფერწერა, მაგრამ ის სრულიად განსხვავდება ზემოთ ხსენებული ნამუშევრებისაგან და ეს ალბათ, მხოლოდ გეოგრაფიული კი არა, კულტურული თვალსაზრისითაც არის განსაზღვრული.

თურქეთში ყოფნის დროს იქმნება ერთ-ერთი საუკეთესო პორტრეტი მსოფლიო პატრიარქის, ბათოლომეოს I-სა. ის იმდენად რეალისტურადაა შესრულებული, რომ შესაძლოა, ფოტოსგან ვერ გაარჩიოთ. მხატვარი ქმნის ფსიქოლოგიურ სახეს ადამიანისა, რომლის ყველა ნაკვთიდან გამოსჭვივის უდიდესი სულიერება. გასაოცარი სიზუსტითა და გულმოდგინებითაა დამუშავებული პატრიარქის შესამოსელი და სამღვდლო ატრიბუტიკა. განსაკუთრებულად აღვნიშნავდი მიტრას. მისი დეტალები ისე მაღალ დონეზეა შესრულებული, რომ მაცურებლისთვის "ხელშესახები" ხდება.

სურვილი და მისწრაფება, ემსახურა ღმერთისათვის ჯიმშირაულის ცხოვრებაში მოულოდნელად არ მოსულა. ის თავიდანვე გამოირჩეოდა ღრმა სულიერებითა და სათნოებით. იგი ავტორია უამრავი ხატისა, რომელთაგან რომელიმე ერთის გამორჩევა არ შეიძლება, რადგან თითოეული უძვირფასესია. თუმცა აღსანიშნავია, რომ შექმნილი აქვს მთელი სერია ხატებისა, ქრისტეზე. ერთ-ერთი მათგანი, კერძოდ, "საიდუმლო სერობა" სამწუხაროდ, დაუსრულებელი დარჩა. ქრისტეს სახეები შესრულებულია განსაკუთრებული სიფაქიზით. მხატვარს შესანიშნავად აქვს გადმოცემული მაცხოვრის სათნო, მშვიდი ბუნება, განონასწორებულობა. ამ სახეების ნახვისას მაცურებელს აუცილებლად დაეუფლება სტაბილურობისა და სიყვარულის განცდა.

რამდენადაც მშვიდია ზემოთ აღწერილი სახეები, იმდენად ემოციურია ქრისტე, ეკლის გვირგვინით. ამ შემთხვევაში მისგან ნამოსული ტანჯვა და ამავედროულად შემწყნარებლობა იმდენად მძაფრია, რომ უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. ვიტყვოდი, რომ ხატის ნახვისგან გამონვეული განცდა კარგად აღწევს სულის სიღრმეებში. ამას აძლიერებს ცრემლები, მაცხოვრის თვალსა და ღანვებზე და



წმინდა ნინო, ტილო, ზეთი. 140/90 სმ. 1981

St. Nino, oil on canvas. 140/90 cm. 1981



ბორის ჯიმშირაული და ოპერის მომღერალი მარლენ ადამაძე, სტამბოლში, ჭადრაკის თამაშის დროს. 2001 წ.

Boris Jimshirauli and opera singer Marlen Adamadze, Istanbul, during the chess game. 2001.

სისხლი, მის შუბლზე, რომელზეც ოქროსფერი შუქი იღვრება და საოცარ შუქ-ჩრდილებს ანიჭებს ისესოს.

ჯიმშირაულის ხატუნის უძვირფასესი ნიმუშებია: “წმ. ნიკოლოზი,” “წმ. ნინო,” “ღვთისმშობელი ყრმით” და სხვ.

შესანიშნავია ბორისის ნატურმორტები. ამ ჟანრში წინა პლანზე წამოვწევ თითოეული ნამუშევრის ფერადოვნებასა და დამაჯერებლობას. აქ არ გვაქვს საქმე ფოტოგრაფიულ სიზუსტესთან. მონასმები, ძირითადად, ფართო და თამამია, მაგრამ იმდენად ოსტატური, რომ მნახველს, თითქოს, შეუძლია იგრძნოს ახლადდაკრეფილი ხილის გემო და იასამნების სურნელი. შთამბეჭდავია მძივივით გაფანტული ბრონეულის მარცვლები, ყურძნის გამჭირვალობა, მაგნოლიების ჰაეროვნება... ამ შემთხვევაში, მხატვრის რეალისტურ მიდგომასშევადარებდი იან ვერმეერის შემოქმედებას. ერთიცა და მეორეც სრულიად განსხვავებული და ინდივიდუალურია, მაგრამ ორივე მხატვარი შესანიშნავად აღიქვამს გარემოს და რაც მთავარია, საოცარი ოსტატობით გადააქვს ყოველივე ტილოზე. მათი ნამუშევრები გაჯერებულია ჰაერით, მძაფრად იგრძნობა ფაქტურა და ხასიათი, თუმცა, კიდევ ერთხელ, ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ვსაუბრობ ორ, სხვადასხვა ხაზითა და ინტერესებით განვითარებულ მხატვარზე.

ბორის ჯიმშირაულის შემოქმედება ის უშრობი წყაროა, რომელზეც შეიძლება უსასრულოდ ილაპარაკო, მიუძღვნა წიგნები, ნაშრომები დ ერთადერთი მიზეზი იმისა, რომ ჯერჯერობით ეს ასე არ არის, ამ ადამიანის თავმდაბლობაა.

Description - Analyses

There are so many wonderful works in Boris' art, frankly, it was very difficult to choose one of them for description-analysis. Initially, I selected a self-portrait, which is noteworthy not only with a high level of performance but also with the artistic and compositional resolution. The portrait seems unfinished, as if leaving the impression of an out-of context frame but, at the same time, it is perfect, as all the other works. Then, I changed my mind and shifted to the work titled "Ramazan Night".

"Ramazan Night" (80X60 cm. Oil on canvas.) was done in 1998 while working in Turkey. The image depicts the street of Turkey, where two citizens notify the people about the approach of national holidays by playing the drums. A man with turban is standing on the balcony, curious with that noise. Downstairs, there are two standing and speaking. The light coming out from the buildings creates a wonderful coziness and so naturally blends into darkness of the night and oriental architecture that the viewer turns out to be just minutes away from becoming the part of this world on canvas.

The artist depicted the buildings and their decor with absolute accuracy. Especially striking are ornamented balconies.

I would focus on those two citizens. They are placed in the foreground of the picture, on an especially lit place. Their faces and garments are well made, creating a great personage of a Turkish nationality.

I do not know what emotions will be triggered by this painting but for me, is a capture from an oriental fairy tale brought to life. As if I am in the world, where everything is magic; where Ginny is still locked in a lamp and when released he is going to make thousand miraculous things happen. These emotions are probably the cause of us knowing about the oriental countries mainly from fairy tales and cartoons. In my opinion, this work is one of those that will definitely be noticed by the viewers.

აღწერა - ანალიზი

ბორისის შემოქმედებაში იმდენი შესანიშნავი ნამუშევარია, გულწრფელად რომ ვთქვა, ძალიან გამიჭირდა, შემერჩია ერთ-ერთი მათგანი, რათა გამეკეთებინა აღწერა - ანალიზი. თავდაპირველად, შევარჩიე ავტოპორტრეტი, რომელიც ყურადღებას იპყრობს არა მხოლოდ შესრულების მაღალი დონით, არამედ მხატვრული და კომპოზიციური გადანწყვეტითაც. პორტრეტი თითქოს, დაუმთავრებელია, "ამოგლეჯილი" კადრის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ ამავე დროს, სრულყოფილია, როგორც მხატვრის ყველა ნამუშევარი. შემდეგ, გადავიფიქრე და არჩევანი შევარჩიე ტილოზე, რომელსაც "რამაზანის ღამე" ჰქვია.

"რამაზანის ღამე" (80X60 სმ. ტილო,ზეთი.) შესრულებულია 1998 წ. თურქეთში მოღვაწეობის დროს, დაკვეთით. სურათზე გამოსახულია თურქეთის ქუჩა, სადაც ორი მოქალაქე დოღზე დარტყმით ამცნობს მოსახლეობას დღესასწაულის მოახლოებას. ერთ-ერთი აივნებიდან მოსჩანს მამაკაცის ჩალმით დახურული თავი, რომელსაც ხმაურზე გამოუხედავს. დაბლა კი ორნი დგანან და საუბრობენ. შენობებიდან გამომავალი სინათლე საოცარ სიმყუდროვეს ქმნის და ისე ბუნებრივად ერწყმის ღამის სიბნელესა და აღმოსავლურ არქიტექტურას, რომ მნახველი წუთით იმ სამყაროში აღმოჩნდება და ტილოს ერთ-ერთ გმირად გადაიქცევა.

აღვნიშნავ, რომ მხატვარს აბსოლუტური სიზუსტით აქვს გამოსახული შენობები და მათი დეკორატიულობა. განსაკუთრებით, თვალშისაცემია აჟურული აივნები.

ყურადღებას გავამახვილებ იმ ორ მოქალაქეზე, რომლითაც აღწერა დავიწყე. ისინი გამოსახულნი არიან სურათის წინა პლანზე, განსაკუთრებულად განათებულ ადგილას. კარგადაა დამუშავებული მათი სახეები და ჩაცმულობა, რაც მთლიანობაში თურქი ეროვნების მამაკაცის შესანიშნავ ტიპაჟს ქმნის.

არ ვიცი, რა ემოციას გამოიწვევს ეს სურათი მნახველში, პირადად ჩემთვის კი ის აღმოსავლური ზღაპრიდან გაცოცხლებული კადრია. თითქოს, იმ სამყაროში ვარ, სადაც ყველაფერი ჯადოსნურია. სადაც ჯინი ისევ ლამპარშია გამოკეტილი და იქიდან გათავისუფლებული ათას სასწაულს სჩადის. ამ ემოციებს კი ალბათ, ის იწვევს, რომ აღმოსავლურ ქვეყნებს ჩვენ, უფრო მეტად, ზღაპრებიდან და მულტიპლიკაციური ფილმებიდან ვიცნობთ. ჩემი აზრით, ეს ნამუშევარი ერთ-ერთი იმათგანია, რომელსაც აუცილებლად შეამჩნევს მნახველი.

პაპა და შვილიშვილი, ტილო,
ზეთი. 70/50 სმ. 1994

Grandfather and Grandson, oil
on canvas. 70/50 cm. 1994





ნიკა სამი წლის, ტილო, ზეთი. 40/31 სმ. 1996
 Three-Year Old Nick, oil on canvas. 40/31 cm. 1996



თეა ექვსი წლის, ტილო, ზეთი, 40/31 სმ. 1996
 Six-Year Old Thea, oil on canvas, 40/31 cm. 1996



მაგნოლიები, ტილო, ზეთი. 90/70 სმ. 1998
Magnolia, oil on canvas. 90/70 cm. 1998



ნატურმორტი ხინკალი, ტილო, ზეთი. 60/77.5 სმ. 1980
Still Life with Khinkali, oil on canvas. 60/75 cm. 1980



პეიზაჟი, მუყაო, ზეთი. 45/35 სმ. 1970
Landscape, cardboard, oil. 45/35 cm. 1970




სალოცავი თელავში, ტილო, ზეთი. 36/38 სმ. 1970
Shrine in Telavi, oil on canvas, 36/38 cm. 1970



ნატურმორტი, ტილო, ზეთი. 67/50 სმ. 1996
 Still Life, oil on canvas. 67/50 cm. 1996



გვირილები, ტილო, ზეთი, 56/40 სმ. 1997
 Daisys, oil on canvas, 56/40 cm. 1997




პორტრეტი, ტილო, ზეთი. 60/40 სმ. 1958
Portrait, oil on canvas. 60/40 cm. 1958



მთხუცის პორტრეტი, ტილო, ზეთი. 42/34 სმ. 1956
The Old Man's Portrait, oil on canvas. 42/34 cm. 1956



ელენეს პორტრეტი, ტილო, ზეთი. 70/50 სმ. 1982
Helen, oil on canvas. 70/50 cm. 1982



ლურჯი აპრილი, ტილო, ზეთი. 60/45 სმ. 1977
Blue April, oil on canvas. 60/45 cm. 1977



ავტოპორტრეტი, ტილო, ზეთი. 110/80 სმ. 1974
Self-Portrait, oil on canvas. 110/80 cm. 1974



ავტოპორტრეტი, ტილო, ზეთი. 50/35 სმ. 1990
Self-Portrait, oil on canvas. 50/35 cm. 1990




პეიზაჟი ნიგორზღვა, ტილო, ზეთი. 80/60 სმ. 1972
Nigorzhva Landscape, oil on canvas. 80/60 cm. 1972



უცნობის პორტრეტი. 50/40 სმ. 1956
Unknown Portrait. 50/40 cm. 1956



პეიზაჟი, ქაღალდი, კალამი. 25/18 სმ. 1971
Landscape, paper, pen. 25/18 cm. 1971




ავტოპორტრეტი, ქაღალდი, ფანქარი. 50/40 სმ. 1959
Self-Portrait, paper, pencil. 50/40 cm. 1949



ციური 16 წლის, ქალაქი, სანგინი. 40/35 სმ. 1976
 16-Year Old Tsiuri, paper, sanguin. 40/35 cm. 1976



ავტოპორტრეტი, ქალაქი, სანგინი. 70/50 სმ. 1967
 Self-Portrait, paper, sanguin. 70/50 cm. 1967




კონსტანტინე გამსახურდია, ქაღალდი, სანგინი. 40/35 სმ. 1961
Constantine Gamsakhurdia, paper, sanguin. 40/35 cm. 1961



ქალის პორტრეტი, ქაღალდი, ფანქარო. 50/40 სმ. 1954
Portrait of a Woman, paper, pencil. 50/40 cm. 1954



პორტრეტი პროფილით, ქალაქი, ფანქარი. 50/40 სმ. 1954
Portrait with a Profile, paper, pencil. 50/40 cm. 1954



თემური თადუმაძე, ქალაქი, სანგინი. 45/40 სმ. 1978
Temuri Tadumadze, paper, sanguin. 45/40 cm. 1978




გალაქტიონ ტაბიძე, ტილო, ზეთი. 70/50 სმ. 1974
Galaktion Tabidze, oil on canvas. 70/50 cm. 1974



წმინდა ნინო, ტილო, ზეთი. 140/90 სმ. 1981
St. Nino, oil on canvas. 140/90 cm. 1981




მოსუცის პორტრეტი, ტილო, ზეთი. 45/35 სმ. 1956
The Old Man's Portrait, oil on canvas. 45/35 cm. 1956



ქალის პორტრეტი, ტილო, ზეთი. 60/50 სმ. 1955
Portrait of a Woman, oil on canvas. 60/50 cm. 1955



ბიჭის პორტრეტი. მუყაო, სანგინი. 50/35 სმ. 1971
 The Boy's Portrait. Cardboard, sanguin. 50/35 cm. 1971



მეუღლის პორტრეტი, ტილო, ზეთი. 45/40 სმ. 1968
 His Wife's Portrait, oil on canvas. 45/40 cm. 1968



ეტიუდი - სიყვარულის
სადღეგრძელო, მუყაო,
ზეთი. 25/35 სმ. 1969
Etude - Love Toast, cardboard,
oil. 25/35 cm. 1969



პეიზაჟი, ტილო, ზეთი. 50/605 სმ. 1972
Landscape, oil on canvas. 50/65 cm. 1972



ფარშევანგი, ტილო, ზეთი. 40/60 სმ. 1972
The Peacock, oil on canvas. 40/60 cm. 1972



პეიზაჟი, ტილო, ზეთი. 40/45 სმ. 1972
Landscape, oil on canvas. 40/45 cm. 1972



პეიზაჟი ტბაზე, მუცაო, ზეთი. 25/20 სმ. 1980
Landscape of The Lake, cardboard, oil. 25/20 cm. 1980



სიღნაღი, ტილო, ზეთი. 90/70 სმ. 1970
Sighnaghi, oil on canvas. 90/70 cm. 1970



კომპოზიცია, ტილო, ზეთი, 57/88 სმ. 1997
 Composition, oil on canvas, 57/88 cm. 1997



ქალიძვანე, ტილო, ზეთი, 70/100 სმ. 2000
 Kagithane, oil on canvas, 70/100 cm. 2000



პატარა მუსიკოსი, ტილო, ზეთი. 65/80 სმ. 1999
 A Musician, oil on canvas. 65/80 cm. 1999



მაგნოლიები, ტილო, ზეთი. 90/70 სმ. 2000
 Magnolia, oil on canvas. 90/70 cm. 2000



პეტრე ბაგრატიონი, ტილო, ზეთი, 65/45 სმ. 1995
 Peter Bagration, oil on canvas, 65/45 cm. 1995



კრისტოფი ჩალმით, ტილო, ზეთი, 55/40 სმ. 2000
 Christoff with Turban, oil on canvas, 55/40 cm. 2000



როკფელერის პორტრეტი, ტილო, ზეთი, 65/45 სმ. 1998
 შესრულებულია შეკვეთით, სურათი იმყოფება პარიზში.
 Rockefeller Portrait, oil on canvas, 65/45 cm. Done in 1998,
 commissioned, kept in Paris.



მხატვარი ვასილ იღუმენიდი. ტილო, ზეთი. 65/45 სმ. 1998 (ათენი)
 Artist Vasil Ighumenidi. oil on canvas. 65/45 cm. 1998 (Athens)



სულთან აჰმედი, ტილო, ზეთი, 84/145 სმ. 1997
Sultan Ahmedi, oil on canvas, 84/145 cm. 1997



ანადოლუ ჰისარი ამჟამად, ტილო, ზეთი, 100/170 სმ. 2001
Anadolu Hisari Currently, oil on canvas, 100/170 cm. 2001



სიღნაღი ზამთარში, მუყაო, ზეთი. 30/20 სმ. 1972
Sighnaghi Winter, cardboard, oil. 30/20 cm. 1972



პეიზაჟი, ტილო, ზეთი. 50/60 სმ. 1973
Landscape, oil on canvas. 50/60 cm. 1973



მემაუარები, ტილო, ზეთი. 56/40 სმ. 1998
 Memories, oil on canvas. 56/40 cm. 1998



ნატურმორტი, ტილო, ზეთი. 60/40 სმ. 1988
 Still Life, oil on canvas. 60/40 cm. 1988



კუმბუზია ორიენტალი, ტილო, ზეთი, 130/160 სმ. 2000
 Oriental Composition, oil on canvas, 130/160 cm. 2000



სულეიმანიე ჯამი, ტილო, ზეთი, 70/86 სმ. 1998
 Süleymaniye Camii, oil on canvas, 70/86 cm. 1998



პეიზაჟი უსკუდარიდან, ტილო, ზეთი, 65/88 სმ. 1999
View from Uskudar, oil on canvas, 65/88 cm. 1999



ბეშიქთაშ ჩაიჰანე, ტილო, ზეთი. 120/140 სმ. 1999
Beshiktash Chaihane, oil on canvas. 120/140 cm. 1999



ისტინიე ჩეშმესი, ტილო, ზეთი, 100/140 სმ. 1999
Istinie Cheshmesi, oil on canvas, 100/140 cm. 1999



ჯამის ინტერიერი, ტილო, ზეთი. 90/70 სმ. 1998
 Interior Of Camii, oil on canvas. 90/70 cm. 1998



ქაფალი ჩარში, ტილო, ზეთი. 103/73 სმ. 1959
 Qapali Charshi, oil on canvas. 103/73 cm. 1959



ჰარემი, ტილო, ზეთი, 90/115 სმ. 1999
Harem, oil on canvas, 90/115 cm. 1999



კომპოზიცია, ტილო, ზეთი, 70/100 სმ. 1999
Compositiom, oil on canvas, 70/100 cm. 1999



ანადოლუ ჰისარი ორიენტალი,
ტილო, ზეთი, 160/254 სმ. 1998

Anadolu Hisari Oriental, oil on
canvas, 160/254 cm. 1998



სირასელვილერის ქუჩა, ტილო, ზეთი, 80/60 სმ. 2000
 Siraselviler Street, oil on canvas, 80/60 cm. 2000



დოლაბდერეს ძველმანების ქუჩა, ტილო, ზეთი, 80/60 სმ. 20 00
 Dolapdere Flea Street, oil on canvas, 80/60 cm. 2000



აიასოფია, ტილო, ზეთი, 50/80 სმ. 2001
 Ayasofia, oil on canvas, 50/80 cm. 2001



სტამბოლის მინარეთები, ტილო, ზეთი, 70/100 სმ. 2001
 Istanbul Minarets, oil on canvas, 70/100 cm. 2001



ძველი თბილისი, ქალაქი, სანგინი. 70/50 სმ. 1976
 Old Tbilisi, paper, sanguin. 70/50 cm. 1976



ბარათაშვილი, ქალაქი, სანგინი. 70/50 სმ. 1975
 Baratashvili, paper, sanguin. 70/50 cm. 1975



ესიკიზი ბავშვები, ქაღალდი, ფანქარი. 50/40 სმ. 1957
 Children Draft, paper, pencil. 50/40 cm. 1957



ქალის პორტრეტი, ქაღალდი, აკვარელი. 50/40 სმ. 1957
 A Woman's Portrait, watercolor on paper. 50/40 cm. 1957



ეკლესია, ქალაქი, კალამი. 25/20 სმ. 1959
Church, paper, pen. 25/20 cm. 1959



პეიზაჟი, ქალაქი, კალამი. 25/20 სმ. 1959
Landscape, paper, pen. 25/20 cm. 1959

